



საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესწავლას. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიშია. აღნიშნული პროცესის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში ეფექტიანი საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელება.

2012 წლის შემდეგ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში დაიწყო სრულიად ახალი ერა, როდესაც ადამიანის ღირსება, თითოეული ინდივიდი სახელმწიფოს ზრუნვის საგანია. გაუმჯობესდა არა მხოლოდ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, არამედ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, აგრეთვე უფლებათა ე. წ. „მესამე თაობა“. თუმცა, უმძიმესი მემკვიდრეობის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის №5602-III დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების საპარლამენტო

კონტროლის განხორციელების ფარგლებში მოამზადა შესაბამისი დასკვნა და მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული 203 რეკომენდაციიდან:

- ა) 110 რეკომენდაცია შესრულებულია;
- ბ) 36 რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული;
- გ) 46 რეკომენდაცია შესრულების პროცესშია;
- დ) 11 რეკომენდაცია შესრულებული არ არის.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია, და დადებითად აფასებს ამ კუთხით შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების ძალისხმევას.

„2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრს მიმოიხილავს. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2017 წლის 11, 12 აპრილისა და 2 მაისის სხდომებზე მოისმინა. ამ ანგარიშის საფუძვლიანმა ანალიზმა გამოააშკარავა როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯები, ისე გარკვეული გამოწვევები.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში დადებითად არის შეფასებული საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენისა და რეკომენდაციების შესრულების საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცედურების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ანგარიშის თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისას არ გამოვლენილა ისეთი დარღვევები, რომლებსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა კენჭისყრის საბოლოო შედეგებზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2016 წელს მშვიდობიანი შეკრების უფლება არ დარღვეულა.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საანგარიშო პერიოდში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის